ქცევის კოდექსის გავლენა დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლებაზე. ფარმაცევტული ბაზრის კულტურის გავლენა თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებაზე

მარიამ ხომერიკი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინიტსრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ვაჩეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ხომერიკი

მ.ხომერიკი

18.06.2022”.

აბსტრაქტი

დღესდღეისობით ორგანიზაციებს მაღალ კონკურენტულ გარემოში უწევთ ოპერირება. სწორედ ამ მაღალი კონკურენციის პირობებში მათ მუდმივად უწევთ ზრუნვა სიახლეების დანერგვისა და მისი მიმღებლობის სტრატეგიების შენარჩუნებისთვის.

კონკურენციასთან ერთად რიგი გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო წარმატების მისაღწევად, როგორებიცაა: ეკონომიკური ფაქტორები, გარემო ფაქტორები, დემოგრაფიული თუ სოციალური ფაქტორები.

წარმატებული სტრატეგიული ოპერირებისთვის ადამიანური რესურსი განუზომლად დიდ როლს ასრულებს, შესაბამისად მისი მოტივაციის უზრუნველსაყოფად კომპანიებმა მუდმივად უნდა იზრუნონ. მოტივაცია ერთგვარი მამოძრავებელი ძალაა, რაც ადამიანს სტუმულებს სძენს შეასრულოს გარკვეული მოქმედებები.

კვლევები მოტივაციის შესახებ უმეტეს შემთხვევაში გარემოსა და სიტუაციურ ფაქტორებზეა დაფუძნებული. ნაშრომში აღწერილი კვლევა კი ეხება ქცევის კოდექსის გავლენას მოტივაციის ამაღლებაზე. წარმოდგენილია ჰიპოთეზა, რომ მაღალ ეთიკურ პირობებში დანერგილი ქცევის კოდექსი დიდ გავლენას ახდენს ფარმაცევტთა მოტივაციაზე საქართველოში. ეთიკური განზომილებები, როგორებიცაა შრომისმოყვარეობის დაფასება, სამუშაოს კეთილსინისერად შესრულება და გუნდური ღირებულებების გათავისება ზრდის მოტივაციას ცალკეულ თანამშრომლებში. ქცევის კოდექსი ამ მხრივ, როგორც მოტივაციაზე მოქმედი ძალა პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ყოველდღიურ სამუშაო პროცესის წარმართვასა თუ სამომავლო პერსპექტივებში.

ემპირიული მიმოხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ფარმაცევტთა მოტივაციაზე, მათ მორალსა თუ ფუნქცია-მოვალეობებისადმი დამოკიდებულებაზე ქცევის კოდექსმა შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს. ამ მხრივ განხორციელებული ნებისმიერი ქცევითი ქმედება მომგებიანი იქნება ორგანიზაციისთვის და პოზიტიურ

გავლენას მოახდენს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებებაზე, რაც ჯამში საერთო წარმატების საფუძველი ხდება.

ჩემს სამაგისტრო ნაშრომში, ყურადღება გამახვილებულია ეთიკის კოდექსსა ქცევის კოდექსის მნიშვნელობაზე ორგანიზაცის შიგნით, ისეთ მნშვნელოვან ასპექტებზე, როგორიცაა მოტივაცია და მოტივირებული თანამშრომლის როლი კომპანიის წარმატებაში. ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს მკითხველს გააცნოს ფამრაცევტული კულტურის თავისებურებები ქცევის კოდექსის ფორმირებისას, ის გამოწვევები რის წინაშეც ამ მხრივ დღეს ქართულ რეალობაში ვაწყდებით და გავლენა ფარმაცევტთა მოტივაციის ამაღლებაზე.